# ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
# გოგებაშვილის ქუჩა №48



თბილისი

იანვარი, 2016

დღევანდელი თბილისის ერთ-ერთი ცნობილი უბანი ***ვერა*** თავის დროზე სოფელი იყო, რომელიც თბილისს ეკვროდა. XIX-ის 60-იანი წლებიდან მან ქალაქთან ინტეგრირება დაიწყო, გაჩნდა პირველი ქალაქური ტიპის დასახლება, აშენდა აგურის ქარხნები. თბილისის სრულფასოვან უბნად ვერა XIX საუკუნის 80-იან წლებში იქცა, როცა აქ ინტენსიური და რეგულარული ქალაქური განაშენიანება დაიგეგმა.

***ვერისუბანი*** მოიცავს ტერიტორიას მდინარე ვერეს ქვედა დინებიდან, ვიდრე ელბაქიძის დაღმართამდე. ვერაზე გადიოდა დიღმის საქარავნო გზა (დღევანდელი კოსტავას ქ.) და წყნეთის გზა (მელიქიშვილის ქ.). უბნის ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვერის ხიდის (1883 წ. 1952 წელს იგი ახალი ხიდით შეიცვალა) აგებამ და ვერის დაღმართის (დღევანდელი მ. ჯავახიშვილის) გაჭრამ. ხიდმა ქალაქის ორი მაგისტრალი – გოლოვინსკისა და მიხეილის (რუსთაველის და აღმაშენებლის) პროსპექტები დააკავშირა ერთმანეთს. გოლოვინსკის პროსპექტი ვერისუბნის მიმართულებით გაგრძელდა. იგი შეუერთდა ოლღას ქ.-ს (კოსტავას ქ.), რომელიც დაახლოებით ვერის ბაღთან მთავრდებოდა და წყნეთის (მელიქიშვილის ქ.) ქუჩებს. ამ ქუჩათა გასაყარზე მცირე მოედანი წარმოიქმნა (დღევანდელი ფილარმონია). ვერისუბნის გეგმარება დღესაც შენარჩუნებულია. მას დიდად განსაზღვრავს რელიეფი (უბანი ნაწილობრივ მთის ფერობზეა განლაგებული) და მასთან მისადაგებულია ქუჩების მრუდხაზოვნება.




ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისითაც არ დაუკარგავს უბანს თავისი მნიშვნელობა. ვერაზე დღესაც გადის ქალაქის მთავარი მაგისტრალები (თავისუფლების მოედანი – რუსთაველის პროსპექტი – კოსტავას ქ. და

მელიქიშვილის ქ. – ვაკე), რომლებიც თბილისის ცენტრს ახალ უბნებთან აკავშირებს.

ვერისუბნის განაშენიანება კოსტავასა და მელიქიშვილის ქუჩების პარალელურად ვითარდება. ეს ქუჩები უბნის განაშენიანებას ქუჩათა პერპენდიკულარული სისტემის მეშვეობით უკავშირდებოდა.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. ვერაზე ახალი, ქალაქური ტიპის სახლების უფრო მასშტაბური მშენებლობა დაიწყო. ეს სახლები თავისი გეგმარებითა და მხატვრულ-არქიტექტურული სახით იმ დროის თბილისური არქიტექტურის საერთო ტენდენციებს მიჰყვება. XX ს-ში ვერა თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბნად იქცა.

გოგებაშვილის ქუჩის საკვლევი მონაკვეთის განაშენიანება ისტორიული ქალაქის მკაცრი დაცვის ზონისა და რეგულირების ზონის საზღვარზე მდებარეობს. ამ ნაკვეთის თავისებურებაა ერთი მხრივ გოგებაშვილის ქუჩის პირზე მდებარეობა და მეორე მხრივ, რჩეულიშვილის აღმართის მხარეს განვითარებული ნაწილი. აღსანიშანვია, რომ რჩეულიშვილის ქუჩა ვერის ძველი სასაფლაოსკენ აღმავალი ერთადერთი არტერიაა და მასზე ნაწილობრივ ჯერ კიდევ შემორჩენილია XX ს-ის 50-იანი წლების ქალაქის გარეუბნისთვის დამახასიათებელი კერძო ტიპის საცხოვრებლები.




ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში, გოგებაშვილის ქ. №48-ში, XX-ს-ის დასაწყისის სართულნახევრიანი საცხოვრებელი სახლი არ გამოირჩევა

ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულებით, რის გამოც მას არ იცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. სახლი აგურით არის ნაშენი, ხოლო ეზოს მხარეს ხის შუშაბანდით არის მოსაზღვრული.





მისი მიმდებარე განაშენიანებაც არ გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის ნიშნით, ***თუმცა, ნიშანდობლივია იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი აგურის ფაქტურით ნაშენი ფასადების საერთო გამომსახველობა, რომელიც ზემო ვერის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს.***

ქუჩის გადაღმა რამდენიმე ე.წ. „სტალინური პერიოდის“ ხუთსართულიანი შენობა დგას, მათ შორის, №43 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც XX ს-ის ქართული არქიტექტურის 50-იანი წლების ნიშანებით ხასიათდება: მაღალი სართულები, ფასადების მონუმენტურობა, ეროვნული ისტორიული არქიტექტურიდან ნასესხები დეკორატიული ელემენტები.





ამ ნაგებობების მონუმენტური მასშტაბი მნიშვნელოვნად გამოარჩევს გოგებაშვილის ქუჩის საერთო ხასიათს ქვემო ვერის XIX ს-ის შედარებით მოკრძალებული მასშტაბის მქონე განაშენიანებისაგან.

გოგებაშვილის ქუჩის №48-ის ირგვლივ ურბანული ვითარება უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა და ქუჩაზე მკვეთრად იმატა სართულიანობამ. ამასთან, მხატვრულ-არქიტექტურული სტილი საკმარისად ჭრელია, აქ ვხვდებით როგორც წარსული ეპოქების მიბაძვას - ფსევდო კლასიციზმი, ასევე სრულიად თანამედროვე არქიტექტურულ გადაწყვეტას. ასეთია მაგალითად, გოგებაშვილის №50, რომელიც რჩეულიშვილის ქუჩის მოპირდაპირე კუთხეზე მდებარეობს.



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ***ვერისუბნის*** ამ მონაკვეთში - გოგებაშვილის №48-ში მდებარე ნაგებობის ჩანაცვლება ვფიქრობ სავსებით შესაძლებელია ქალაქის ცენტრისთვის უფრო შესაფერისი არქიტექტურით. ამასთან, პროექტისთვის გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

## რეკომენდაციები

- შესაძლებლად მივიჩნევ გოგებაშვილის №48-ის სართულნახევრიანი კერძო სახლის ჩანაცვლებას ახალი მოცულობით, რადგანაც ის არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და არ გააჩნია ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულება;
- ახალი მოცულობის არქიტექტურული სახე სასურველია იყოს სრულიად თანამედროვე, სადა ფორმებით გადაწყვეტილი;
- მნიშვნელოვანია შენობის ფასადების მაღალი ხარისხის საშენმასალებით მოპირკეთება თბილისის ისტორიული ცენტრში ადგილმდებარეობის შესაბამისად;

- ვერის უბნის განაშენიანების ტრადიციული ხასიათის გათვალისწინებით სასურველია ფასადებისთვის აგურის მოპირკეთების გამოყენება. (ასევე შესაძლებელია თანამედროვე მასალებით მოპირკეთების ვარიანტის განხილვა);
- რჩეულიშვილის ქუჩის რელიეფის გათვალისწინებით შენობა სასურველია გაიზარდოს სიმაღლეში აღმართის მიხედვით;
- გოგებაშვილის ქუჩის განაშენიანების უკანასკნელი პერიოდის ურბანული განვითარების გათვალისწინებით, შესაძლებლად მივიჩნევ ახალი შენობის სიმაღლის დაპროექტებას ირგვლივ არსებული თანამედროვე განაშენიანების მასშტაბის შესაბამისად, მით უფრო, რომ აღნიშნულ მონაკვეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ფიქსირებული არ არის;
- პროექტის ფარგლებში მაქსიმალურად უნდა შენარჩუნებული იქნას შენობის ეზოში არსებული მრავალწლიანი მწვანე ნარგავები.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი